პირველი სხივი
FIRST LIGHT

რაშიდ ალ ხალიფა
RASHID AL KHALIFA

ტექსტი
იასმინ შარაბი

ფოტოები
რაშიდ ბინ ხალიფა ალ ხალიფა
მარინე ტერლიცი
სვეტლანა პროდანოვა
ალი შარაფი

დიზაინი
Two Desk Studio

თარგმანი
თამარ ჯანაშია

ყველა უფლება დაცულია.

აკრძალულია საავტორო უფლებების
მფლობელების წერილობითი ნებართვის
გარეშე წიგნის ნებისმიერი ნაწილის
ელექტრონული ან მექანიკური საშუალებებით
გამოყენება ფოტოასლების, ჩანაწერების ან
ინფორმაციის ჩათვლით.

© 2023, რაშიდ ალ ხალიფას ხელოვნების
ფონდი, რიფა, ბაჰრეინი

Text
Yasmin Sharabi

Photography
Rashid bin Khalifa Al Khalifa
Marine Terlizzi
Svetlana Prodanova
Ali Sharaf

Design
Two Desk Studio

Translation
Tamar Janashia

All rights reserved.

No part of this book may be produced
in any form by electronic or mechanical
means, including photocopying, recording
or information storage retrieval without the
written permission of the copyright owners.

© 2023, RAK Art Foundation, Riffa, Bahrain

www.rakartfoundation.com

რაშიდ ალ ხალიფა, პირველი სხივი, თბილისის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, თბილისი, საქართველო

გარემომცველი გარემოთი სამარადისოდ შთაგონებული ბაჰრეინელი ხელოვანი რაშიდ ალ ხალიფა ისეთ ნამუშევრებს ქმნის, რომლებიც ტრადიციულ და თანამედროვე არქიტექტურას ბუნებრივ გარემოსთან აკავშირებენ. ბაჰრეინის ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი შუქი, ფერები და ატმოსფერო დიდწილად განსაზღვრავენ რაშიდის მიერ შექმნილ ნახატებს, რომლებშიც ის ამ თვისებებს გამორჩეულ კედლის ქანდაკებებად და იმერსიულ ინსტალაციებად გარდაქმნის.

რაშიდის მუდმივი შთაგონების წყაროს მისი გამოცდილებები და გარემო წარმოადგენენ, იქნება ეს მისი ადრეული ლანდშაფტების ნახატები 1980-იანი წლებიდან, გვიანდელი ატმოსფერული აბსტრაქციები 2000-იანი წლების შუა პერიოდიდან თუ მინიმალისტური ალუმინის ნამუშევრები, რომლებიც 2010 წლის შემდეგ შეიქმნა. მისი უახლესი ნამუშევრები ერთდროულად გაიაზრებენ წარსულსა და მომავალს და ამით ტრადიციასა და მემკვიდრეობაზე, თანდაყოლილ ფუტურისტულ მგრძნობელობაზე მიანიშნებენ.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარე პაწაწინა კუნძული ბაჰრეინის სტრატეგიულ მდგომარეობას მარგალიტითა და სხვა საქონლით მოვაჭრეები და მეზღვაურები საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდნენ. სიტყვა "ბაჰრეინი" სიტყვასიტყვით "ორ ზღვას" ნიშნავს და იმ მტკნარი წყლის წყაროებს უკავშირდება, რომლებიც მარილიანი ზღვის ფსკერიდან ამოდის. სწორედ წყალთან ამგვარი კავშირი იზიდავდა დიდი ხნის განმავლობაში შორეული ქვეყნებიდან ჩამოსულ მოგზაურებს და აღძრავდა მათ ცნობისმოყვარეობას უდაბნოს კუნძულისა და ოაზისის მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ დილმუნის ცივილიზაციის დროს (ძვ. წ. 4000-800 წლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე)

იქნა აღწერილი ისეთ ადრეულ შუმერულ ტექსტში, როგორიცაა გილგამეშის ეპოსი. იქ ის მოხსენიებულია როგორც აყვავებული მანგრის ხეებით, პალმებითა და ტკბილი წყლით სავსე წმინდა ბაღის სამოთხე. ბაჰრეინის წყლები მისი მაცხოვრებლებისთვის უკვე დიდი ხანია საარსებო წყაროს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ 1900-იანი წლების დასაწყისში ბაჰრეინი ლიდერობდა საერთაშორისო დონეზე მარგალიტის ვაჭრობით და ცნობილი იყო უმაღლესი ხარისხის მარგალიტის კულტივირებით.

დაუ ან ტრადიციული ბაჰრეინული სათევზაო ნავი, რომელიც სპეციალურად მარგალიტის მოპოვებისთვის შეიქმნა, ახლა ასევე ბაჰრეინის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან სიმბოლოდაა ცნობილი. გარდა ამისა, ტრადიციული თევზჭერის მეთოდები მოიცავს თევზის ისეთი ხაფანგების გამოყენებას, როგორებიცაა ჰადრა (Haddrah) - სანაპირო ზონაში დამაგრებული ხაფანგი, რომელიც წყლის მოძრაობის შეფერხების გარეშე თევზის მოძრაობის შეზღუდვის გზით მის დასაჭერადაა შექმნილი. სწორედ ამგვარმა წეს-ჩვეულებებმა ჩამოაყალიბა ბაჰრეინის ხალხის კულტურა, რომელიც ადამიანის მიწასთან და გარემომცველ წყალთან ჰარმონიულად თანაცხოვრებას გულისხმობს.

1970-იან წლებში რაშიდის, როგორც ლანდშაფტების მხატვრის შემოქმედებამ, და ბაჰრეინის ტოპოგრაფიამ მკვეთრი ცვლილებები განიცადეს. თუმცა, მიუხედავად სწრაფი ურბანიზაციისა, ადრეული დღეების სულის შენარჩუნება ჯერ კიდევ მოხერხდა. ის აგრძელებს ჰორიზონტზე მოფენილი გარიჟრაჟის, ან ლურჯ წყალში მოლივლივე კაშკაშა მზის ჩასვლის პასტელის ფერებში გამოხატვასა და ტრადიციული არქიტექტურის მიმართ ნოსტალგიის ჩვენებას, ბაჰრეინის წარსული კულტურის სითბოს შეგრძნებას. ამგვარად, რაშიდი მიზნად როგორც ამ ტრადიციების უკვდავყოფას, ისე გარდამავალი მომენტების განჭვრეტას ისახავს.

მისი შემოქმედების ყოველი პერიოდი აღწერს მის მიერ ჩატარებულ მიმდინარე გამოძიებასა და სურვილს, ტრადიცია თანამედროვეობასთან, ბუნებრივი მოვლენა კი ადამიანის მიერ შექმნილთან დააკავშიროს. მრავალი თვალსაზრისით, მისი შემოქმედება თემისა და მედიუმის გამოყენების კონტრასტებზეა აგებული. მხატვარი მშობლიური ლანდშაფტის გარდაქმნას სწავლობს და მის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე დაფიქრდება. სინამდვილეში, ბაჰრეინი ამაყობს მსოფლიოში სიდიდით მეორე ალუმინის ქარხნით. ალუმინი კი მასალის საინტერესო არჩევანია მხატვრისთვის, რომელიც მიზნად უწონადი, დრეკადი და მედიტაციური ნამუშევრის შექმნას ისახავს.

თანამედროვე შენობებისა და ურბანული დაგეგმარების სწრაფი განვითარების მიუხედავად, ბაჰრეინის თანამედროვე კულტურაში ისლამური ორნამენტები და დიზაინის ელემენტების სიჭარბე მაინც შენარჩუნდა. რიტმული, ხაზოვანი და ფოთლოვანი არაბესკები (ღვთაებრივი ბუნების გამოსახულებები) ახლო აღმოსავლეთის არქიტექტურისთვის დამახასიათებელი მაშრაბიას ტიპის ტრადიციული დიზაინის ელემენტს წარმოადგენს. შენობის მეორე ან უფრო მაღალ სართულზე არსებული მოჩუქურთმებული ხის გისოსებით შემოფარგლული სარკმლის თავდაპირველი დანიშნულება როგორც წესი, პირადი სივრცის შექმნა იყო, რათა შენობის მაცხოვრებლებს გარე სივრცის დანახვა ისე შესძლებოდათ, რომ თავად მათი დანახვა შეუძლებელი ყოფილიყო. ის ასევე უზრუნველყოფდა ჩრდილის გაჩენასა და სიცხისგან დაცვას, ნიავს კი მიმოქცევის საშუალებას აძლევდა. მაშრაბიას მიერ გაწონასწორებული გარემოს შექმნის ფუნქციამ და მისმა მეტაფორულმა პოტენციალმა რაშიდი თავისი გამოცდილების აღდგენისა და მისი პარამეტრულ სერიაში გადმოცემის იდეით შთააგონა. მან წესრიგისა და სიმეტრიის კვლევა ცხადად დაპირისპირებული, მაგრამ ამავე დროს ურთიერთშემავსებელი ძალების: დადებითისა და უარყოფითის, ნათელისა და ბნელის, შინაგანისა და გარეგანის საშუალებით გამოხატა და სინათლისა და ჩრდილის ტრანსცენდენტური და ეფემერული ბუნება დაგვანახა.

რაშიდის მიერ ახლახან შექმნილი სერია „სპექტრი“ ასახავს ისლამურ ხელოვნებაში არსებულ „განმეორების წესებს“, რომლებიც ისლამური არქიტექტურის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ესთეტიკურ პრინციპს წარმოადგენენ. ისლამურ ხელოვნებაში ფორმის გამეორება და ამ გამეორების სიხშირე სირთულის ხარისხის მიუხედავად უსასრულობის ისეთ ილუზიას ქმნის, რომლის დროსაც შაბლონის მქონე ჩარჩოს არსებობა შემთხვევითი ხდება: სიმეტრიული ნიმუში ჩარჩოს საზღვრებს მიღმაც გრძელდება და ჰარმონიაც სწორედ ამ უსასრულობის მდგომარეობიდან წარმოიქმნება. სერია ამ პრინციპებს ემყარება და მის გათანამედროვეებას სტრუქტურული ატრიბუტების თამაშით ცდილობს. ისინი თანამედროვე არაბულ არქიტექტურას მოგვაგონებენ და დამატებით ბაჰრეინის ლანდშაფტებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ პალიტრასა და ტონებს აერთიანებენ. ანალოგიურად, რაშიდის მიერ შექმნილ სერიაში “ტალღა” რიტმული გამეორებები ხელოვანის სურვილზე მიუთითებს, წესრიგი და სიმეტრია გარემომცველი სამყაროს ფარგლებში არსებული ცვალებადი გამოსახულების გზით შექმნას.

უუანგავი ფოლადის ინსტალაციის მასალად მოულოდნელი გამოყენებით რაშიდი ნამუშევარში „ჰადრა“ მოქნილი დიზაინისა და განმეორებადი სტრუქტურის მქონე ტრადიციული თევზის ხაფანგის რეპლიკის შექმნას ცდილობს. ტრადიციული თევზის ხაფანგი ისე იყო მოწყობილი, რომ მოქცევის დროს ნაპირის პარალელურად მცურავი თევზები “განშტოებას” ხვდებოდნენ და ჩვეულებისამებრ ღრმა წყალში ცურვის თავიდან ასაცილებლად საბოლოოდ შედარებით უფრო პატარა შემოღობილ ადგილას შეცურავდნენ ხოლმე, სადაც მათ მოქცევა იჭერდა. სამი ელემენტისაგან შემდგარი ნაპირის პერპენდიკულარულად განლაგებულ ღობეს ან yad-ს hawsh-მდე (შემოღობილი ადგილი) მივყავართ, რომელიც sir-მდე მიემართება (ბოლო გალია, რომელიც მიქცევის ნიშნის ქვეშ მდებარეობს). ამ ნამუშევარში ტრადიციულ მასალას უუანგავი ფოლადის სვეტები ჩაანაცვლებენ. მათი ხელუხლებელი, მბზინავი ბუნება მნახველს შიგნით შესვლისკენ იზიდავს და მასში გადაადგილებისას მოძრაობისა და შუქის

ანარეკლის ნაკადს მართავს. როგორც წესი, გამძლე მასალა მარადიულობის მბზინავი მონუმენტის მყიფე სტრუქტურად გარდაიქმნება.

„პირველი სხივი“ საშუალებას გვაძლევს, რაშიდის შემოქმედება უამრავი შთაგონების გაერთიანებისთვის დავაფასოთ. ეს სკულპტურები ტრადიციისა და მომავლის, მემკვიდრეობისა და თანამედროვე დიზაინის, გარემოსა და ინდუსტრიის თანაკვეთაზეა შექმნილი. მისივე მშობლიური ბაჰრეინის მსგავსად, რომელიც თავისთავად მრავალგვარი გავლენის გზაჯვარედინზე მდებარეობს, რაშიდის შემოქმედებაც ერთი შეხედვით განსხვავებულ ატრიბუტებს აერთიანებს და შედეგად სრულიად გამორჩეული იდენტობის მქონე არაჩვეულებრივ ფორმებს წარმოქმნის.

იასმინ შარაბი
დირექტორი
რაშიდ ალ ხალიფას ხელოვნების ფონდი

Rashid Al Khalifa, First Light, Zurab Tsereteli Museum of Modern Art.

Regularly inspired by his surroundings, Bahraini artist Rashid Al Khalifa formulates works that merge traditional and contemporary architecture with the natural environment. The light, colours and atmosphere specific to Bahrain's landscape determine, to a large extent, Rashid's resulting formations, as he transforms these qualities into prominent wall sculptures and immersive installations.

Whether his early landscape paintings from the 1980s, his later atmospheric abstractions from the mid-2000s, or his minimalist aluminium works from 2010 onwards, Rashid continually draws upon his experiences and environment as a source of inspiration. His latest work reminisces about the past at the same moment that it reflects on the future and in doing so, is suggestive of tradition and heritage, as well as inherent of a futuristic sensibility.

Located at the crossroads of trade routes between the East and West, Bahrain's strategic position has seen pearl merchants, traders and seafarers traverse this tiny island for millennia. Literally meaning 'two seas', the word 'Bahrain' refers to the freshwater springs rising from beneath the salty seabed. It is this connection to water, that has long attracted voyagers from distant lands, sparking their curiosity about the desert island oasis that during the Dilmun civilization (4000- 800 BC), was described in early Sumerian texts such as the Epic of Gilgamesh, as a sacred garden paradise, teeming with lush mangroves, palm trees and sweet water. Bahrain's waters have long been a vital source of livelihood for its inhabitants. Notably in the early 1900s, Bahrain held the highest position in the international pearl trade, renowned for cultivating pearls of the greatest quality. The dhow, or traditional

Bahraini fishing boat, was designed specifically for pearling and is now also an important symbol of Bahraini heritage. Furthermore, traditional fishing methods include employing fish traps such as the *Haddrah*, an intertidal fixed stake trap, devised to capture fish by limiting their movement without obstructing water flow. Such customs have shaped the culture of the Bahraini people, whose relationship to their land and surrounding water is synergetic.

Bahrain's topography has undergone drastic changes since Rashid embarked on his artistic career as a landscape painter in the 1970s, yet despite the rapid urbanization, the spirit of those early days lingers. It is to witness the vivid pastel hues that are cast across the horizon at dawn, or the glowing sunset shimmering over teal blue waters; to experience the nostalgia of traditional architecture, or to feel the warmth of Bahraini culture, that evokes one's memories of the past. In this way, Rashid aims to both immortalize these traditions and anticipate the transitions.

Each period of Rashid's oeuvre describes his ongoing investigation and desire to meld tradition with modernity, as well as the natural with the manmade. In many ways, his work is built on contrasts, through his subject matter and use of medium; a means to examine the transformation of his native landscape and to contemplate changes in his life. In fact, Bahrain boasts the second largest aluminium smelter in the world, an interesting choice of material for an artist who aims to create work to appear weightless, fluid, and meditative.

Despite the rapid explosion of modern buildings and urban planning, Islamic patterns and design elements have prevailed throughout contemporary culture in Bahrain. The rhythmic, linear and foliage arabesques (representations of divine nature) are elements of traditional design such as the *mashrabiya*, a distinguishing feature of Middle Eastern architecture. Typically, a projecting oriel window enclosed with carved wooden latticework on the second or higher story of a building, its original purpose was to ensure privacy so the occupants could see out but not be seen from outside, whilst also providing shade and protection from the searing heat and allowing a breeze to pass through. This balancing function and its metaphoric potential inspired Rashid to recreate the experience in what he defined as his Parametric series. Ostensibly opposing yet complementary forces- positive and negative, light and dark, interior and exterior- represent his research of order and symmetry. We also experience his expressions of the transcendent and ephemeral nature of light and shadow.

More recently, Rashid's Spectrum series reflects on the 'rules of repetition' in Islamic art, one of the most important aesthetic principles of Islamic architecture. The frequency and repetition of a shape in Islamic art, however complex, creates the illusion of infinity whereby the frame that holds the pattern is incidental: the symmetrical pattern continues beyond the bounds of the frame. Harmony arises from this state of infinitude. Spectrum takes such principles and contemporizes them by playing on structural attributes that are also reminiscent of contemporary Arab architecture, additionally integrating a specific palette and tones that are characteristic to Bahrain's landscape. Similarly, the rhythmic repetition in Rashid's Wave works, allude to his desire to express order and symmetry whilst creating imagery that shifts and transforms within its surroundings.

Employing an unexpected choice of material, stainless steel, Rashid's installation *Haddrah*, aims to replicate the traditional fish trap through its meandering design and repetitive structure. Traditionally, the fish trap was designed so that fish swimming parallel to shore at high tide, encounter the "wing" and habitually try to escape by swimming into deeper

water, eventually entering a smaller enclosure where they are captured by the receding tide. Consisting of three elements, the fence or the *yad* is positioned perpendicularly to the shore, leading to the *hawsh* (an enclosure), that directs to the *sir* (the final cage located just below the low tide mark). In this work, the stainless-steel columns replace traditional material and it is their pristine, lustrous nature that entices the viewer to wander inside, permitting the flow of movement and the reflection of light, as one navigates the work. A typically robust material is transformed into a seemingly delicate structure, glistening as it stands like a monument to a timeless trade.

First Light allows us to appreciate Rashid's work as an amalgamation of a myriad of inspirations. These sculptures intersect tradition and the future; heritage and contemporary design; the environment and industry. Much like his native country Bahrain, itself a melting pot of multifarious influences, Rashid's work brings seemingly divergent attributes together, resulting in compelling formations that possess of a distinct identity.

Yasmin Sharabi
Director
RAK Art Foundation

პირველი სხივი
FIRST LIGHT

რაშიდ ალ ხალიფა
RASHID AL KHALIFA

წრიული ანარეკლი, 2023
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Circular Reflection, 2023
150 x 150 cm
enamel on aluminium

ნაცრისფერი სფერული შეკუმშვა, 2019
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Spherical Compression in Grey, 2019
150 x 150 cm
enamel on aluminium



ცისფერი პარამეტრი, 2018
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Blue Parametric, 2018
150 x 150 cm
enamel on aluminium



მწვანე პარამეტრი II, 2018
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Green Parametric II, 2018
150 x 150 cm
enamel on aluminium

თეთრი პარამეტრი, 2018
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

White Parametric, 2018
150 x 150 cm
enamel on aluminium

“ეს ნამუშევრები ტრადიციისა და
თანამედროვეობის აღქმის მატერიალიზებას
წარმოადგენს და წარსულის, აწმყოსა და მომავლის
სინქრონიზებულ წარდგენას ახდენს.”

რაშიდ ალ ხალიფა

“These works materialize as testaments to both
tradition and modernity; synchronized representations
of the past, the present, and the future.”

Rashid Al Khalifa



მწვანე ნაკეცები, 2015
120 x 120 სმ
მინანქარი ალუმინზე

Green Folds, 2015
120 x 120 cm
enamel on aluminium



ლურჯი ნაკეცები, 2015
120 x 120 სმ
მინანქარი ალუმინზე

Blue Folds, 2015
120 x 120 cm
enamel on aluminium



მოზაიკა, 2023
180 x 720 სმ
მინანქარი ალუმინზე

Mosaic, 2023
180 x 720 cm
enamel on alunimium



ტალღები II, 2023
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Waves II, 2023
150 x 150 cm
enamel on alunimium



ტალღები, 2023
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Waves, 2023
150 x 150 cm
enamel on aluminium



შავი და თეთრი II, 2014
120 x 120 სმ
მინანქარი ალუმინზე

Black and White II, 2014
120 x 120 cm
enamel on aluminium



შავი და თეთრი, 2014
120 x 120 სმ
მინანქარი ალუმინზე

Black and White, 2014
120 x 120 cm
enamel on aluminum

თევზის ხაფანგი (Haddrah), 2023
300 x 500 x 600 სმ
უჟანგავი ფოლადი, აკრილი

Fish Trap (Haddrah), 2023
300 x 500 x 600 cm
stainless steel, acrylic

თევზის ხაფანგი (Haddrah), 2023
300 x 500 x 600 სმ
უჟანგავი ფოლადი, აკრილი

Fish Trap (Haddrah), 2023
300 x 500 x 600 cm
stainless steel, acrylic



და წყლისგან შევქმენით ყოველივე ჯერ კიდევ ცოცხალი, 2023
30 x 330 სმ
შუქდიოდის განათების ინსტალაცია

And we made from water everything that is alive, 2023
30 x 300 cm
LED neon light



სპექტრი VIII, 2021
150 x 450 სმ
მინანქარი ალუმინზე

Spectrum VIII, 2021
150 x 450 cm
enamel on aluminium



სპექტრი V, 2021
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Spectrum V, 2021
150 x 150 cm
enamel on aluminium

სპექტრი VI, 2021
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Spectrum VI, 2021
150 x 150 cm
enamel on aluminium



სპექტრი VII, 2021
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Spectrum VII, 2021
150 x 150 cm
enamel on aluminium



ტალღები III, 2023
120 x 120 სმ
მინანქარი ალუმინზე

Waves III, 2023
120 x 120 cm
enamel on aluminium



შავი და სტაფილოსფერი II, 2022
150 x 150 სმ
მინანქარი ალუმინზე

Black and Orange II, 2022
150 x 150 cm
enamel on aluminium

ყველა მზე უნდა ჩავიდეს, 2023
80 x 80 სმ
შუქდიოდი, ნეონის განათება

Every sun has to set, 2023
80 x 80 cm
LED neon light

ბიოგრაფია

1952 წელს ბაჰრეინის სამეფოში დაბადებულმა რაშიდ ალ ხალიფამ პირველი პერსონალური გამოფენა სასტუმრო „დილმუნში“ (ბაჰრეინი) 1970 წელს გამართა როცა სულ რაღაც 18 წლისა იყო. მოგვიანებით, 1972 წელს ის საცხოვრებლად დიდ ბრიტანეთში გადავიდა და სწავლა სასექსში ჰასტინგსის ხელოვნებისა და ტექნოლოგიების კოლეჯში გააგრძელა. 1978 წელს ბაჰრეინში დაბრუნების შემდეგ, უდიდესი ევროპელი იმპრესიონისტი ოსტატების შემოქმედებით შთაგონებულმა თავისი ქვეყნის პეიზაჟების ხატვა დაიწყო და უდაბნოს, ზღვისა და ისტორიული ადგილების ამსახველი ატმოსფერული ნახატების სერია შექმნა. ეს ნამუშევრები პირველად ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტში (ვაშინგტონი, აშშ) იქნა გამოფენილი, 1982 წელს კი მათ სასტუმრო „შერატონში“, ბაჰრეინში გადაინაცვლეს. რაშიდმა თავისი შემოქმედება გარკვეული მიმდინარეობებისა და სტილის (გეომეტრიული აბსტრაქცია, აბსტრაქტული მხატვრობა და ფერადი საველე სამუშაოები) გავლენით განავითარა.

მხატვრისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილება, 1980-იანი წლების ბოლოს ფიგურატიული და ლანდშაფტური ნამუშევრების ელემენტები ერთმანეთთან შეერწყა, სრულიად გაცნობიერებული იყო. მას ინდივიდუალური განვითარების სურვილი სულ უფრო და უფრო მეტად ამოძრავებდა, რაც გარემოს აურისა და ატმოსფეროს მიბაძვაში გამოიხატა. რაშიდის მიერ შექმნილი ქალის ფიგურები უფრო ბუნდოვანი გახდა და ქსოვილის მინიშნებებს დაემსგავსა, კიდურებისა და მოძრაობის სავარაუდო ნაწილები და მიმოფანტული თმის კასკადები მიწის ფერებს შეერწყა. 1990-იანი წლების დასაწყისში მომხდარი ნამუშევრების შემდგომი გარდაქმნა მიუთითებს სურვილზე, შემოისაზღვროს და სხვა პუნქტისკენ მიემართოს ხელოვანის მიერ მანამდე გამოყენებული ჟესტური და წარმავალი ნიშნები. მისი გამოსახულებები თანდათან უფრო კონტროლირებადი ხდებიან და მეტი დეკორატიული ელემენტის გამოყენებას იწყებენ. ნამუშევრების ეს სერია პირველად 1996 წელს იქნა წარდგენილი პერსონალურ გამოფენებზე გალერეებში De Caliet და El Kato Kayyel (მილანი, იტალია), 1997 წელს კი შუმანის ხელოვნების ორგანიზაციაში (იორდანია)

იქნა ნაჩვენები. ამ პერიოდში რაშიდი შედარებით უფრო ამორფული ფონის გამოყენებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტებით დაინტერესდა და სამი ტილოსგან შემდგარი სამკუთხა პრიზმების შექმნა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ მას ნამუშევრის სამგანზომილებიანობა ძალიან მოეწონა, რაც მაყურებელს მისი სადგამის გარეშე ტკბობის საშუალებას აძლევდა, ხელოვანი შედეგით მაინც უკმაყოფილო დარჩა.

შემდგომი კვლევებისა და უნებლიე აღმოჩენის შედეგად 1990-იანი წლების ბოლოს რაშიდმა მისთვის დამახასიათებელი „ამოზნექილი ტილოების“ შექმნა დაიწყო, რაც 2000 წლიდან მოყოლებული მის მთავარ ხელწერად იქცა. ამ ნამუშევრებში მან მთელი გამოსახულებები - პეიზაჟი, ფიგურატიული და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი საკუთარი ფერადი ენით გააერთიანა. 2006 წლიდან კი ნათელი ცოცხალი ფერებისა და კონცეპტუალური ჩარჩოს გამოყენება დაიწყო რისი მეშვეობითაც ორგანული ფორმები და უჩვეულო გამოსახულებები ერთმანეთს შეურწყა და გაცოცხლებული და აბსტრაქტული სახეები შექმნა.

2009 წლისთვის მისმა ნამუშევრებმა საბოლოო ცვლილება განიცადეს: 90-იანი წლების ბოლოს გამოყენებული თამამი ხაზები და განსხვავებული ფორმები ფერისა და ჟესტების სინთეზად იქცნენ. ფერთა ფართო მონასმები საღებავის სქელ ფენებს შეერია და ზედაპირის ქვეშ არსებული გამოსახულებებისა და ნარჩენი ფერების გამოსაჩენად ამოიკაწრა და ამოიფხიკა. ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამოზნექილი ზედაპირის გამოყენებით რაშიდი ბევრად უფრო მინიმალისტური მიდგომით მეთოდურად და განგრძობითად ავითარებდა თავის სტილს. 2010 წელს ბაჰრეინის ეროვნულ მუზეუმში მოწყობილმა მნიშვნელოვანმა პერსონალურმა გამოფენამ სახელწოდებით „ამოზნექილი: ახალი პერსპექტივა“ დამთვალიერებელს ათი წლის განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები წარუდგინა და ხელოვანის მიერ ახლად აღმოჩენილი ფორმები, მის სტილსა და პრაქტიკაზე მათი გავლენის როლი გააცნო. ადრინდელ ფერწერულ ნამუშევრებთან ერთად ხელოვანმა ლაქის საღებავის, ქსოვილისა და წებოს საშუალებით შექმნილი ისეთი ახალი სერია აჩვენა, რომელიც ტილოს სიმრუდეს ავსებდა. რაშიდმა ამ მასალების მანიპულირებით შუქს ყოველ ცალკეულ ზედაპირზე სხვადასხვაგვარად დაცემის ახალი შესაძლებლობები გაუხსნა და ამით მრავალშრიანი რელიეფის შექმნის ტექნიკას გაუსვა ხაზი. ტილოს მასშტაბები უფრო დიდებული, თავად

გამოსახულება კი უფრო ბნელი და ინტენსიური გახდა, რითაც ნამუშევრებს გაცილებით უფრო დიდი დრამატული ეფექტი მიენიჭა. არსებითად, ამ ახალმა პერსპექტივამ რაშიდის ნამუშევრის ფიზიკური მხარის ცვლილება მოახდინა, რაც მისი პიროვნული ზრდის პარალელურად განვითარდა. მიმდინარე ექსპერიმენტებმა ნათელი გახადეს ხელოვანის ინოვაციებისა და განახლებისკენ მიმართული მოთხოვნილება და ღიაობა.

ამ პერიოდში რაშიდმა მის მიერ ბაჰრეინის მუდმივად ცვალებად პეიზაჟებში დიზაინისა და არქიტექტურის გარკვეული ასპექტების ვიზუალიზაციისას გამოყენებული მგრძნობელობის, მექანიკისა და გეომეტრიის პროცესების უფრო მეტად გათვალისწინება და ჰარმონიულად გამოყენება დაიწყო. მან თავის მხატვრობაში სწრაფად მოახდინა ახალი აღმოჩენების ჩართვა. 2010-2011 წლებში შექმნილი ნამუშევრების უმეტესობაში გამოყენებული თეთრად მოელვარე, ლაქით დაფარული გლუვი ზედაპირები სწორედ ფორმასა და დანიშნულებაში წონასწორობის მიღწევის სურვილისკენ მიდრეკილებას ადასტურებს. 2011 წლის მიწურულს რაშიდმა კიდევ უფრო გააღრმავა ქრომთან დაკავშირებული ექსპერიმენტები, რამაც მას ნახატებზე მეორე ფენის დამატების, მანიპულირებისა და გარემოს დეფორმირებული ანარეკლის შექმნის საშუალება მისცა. ეს ნამუშევრები მომდევნო წელს ბაჰრეინის ფინანსურ ცენტრში (მანამა, 2012), ბეირუთის ხელოვნების ბაზრობასა (ლიბანი, 2012) და აბუ დაბის ხელოვნების ბაზრობაზე (არაბთა გაერთიანებული საემიროები, 2012) იქნა გამოფენილი.

2015 წლის მაისში მხატვარმა ოფიციალურად მიიღო მონაწილეობა ვენეციის 56-ე ბიენალეს ორ ღონისძიებაში: „Nomi/სახელები“ (ჯგუფური გამოფენა) და „ჭექა-ქუხილის თვალი: არაბული სამყაროს მგზნებარე პრაქტიკა“ (პარალელური ინიციატივა), რომელიც „თანამედროვე პრაქტიკის ჟურნალის“ (Contemporary Practices Journal) მიერ იყო დაფინანსებული. ამას მოჰყვა მისი სამგანზომილებიანი ხელოვნებისთვის მიძღვნილ TRIO-ს ბიენალეს (ბრაზილია) დროს არაბი მხატვრების დელეგაციაში მოხვედრა. დაახლოებით ამავე დროს რაშიდის ამოზნექილ ზედაპირებს ალუმინის ტექსტურირებული ფენები დაემატა, რითაც ხელოვანმა ქვედა ფენების გამოჩენისთვის საჭირო ქმედებების გატარება ან მათი ამოჭრა გააგრძელა. ამგვარად, მან ხელუხლებელი და სიმეტრიული ფასადის შექმნის მიზნით წინა წლებში

გამოყენებული მხატვრობის სტილი უკან მოიტოვა. ამ სტრუქტურული მახასიათებლებით სარგებლობამ და მინიმალიზმისკენ ლტოლვამ მხატვრის ყურადღება დიზაინის ელემენტების ფორმებისა და მათ მიერ სინათლისა და შესაბამისი ჩრდილების მიმღებლობისკენ მიმართა.

2018 წელს რაშიდმა დუბაიში (არაბთა გაერთიანებული ემირატები), გალერეაში „Ayyam“ პერსონალური გამოფენა „ჰიბრიდები“ გამართა და გამოფენაზე 2015-2017 წლებში შექმნილი ნამუშევრების საშუალებით გარდამავალი პერიოდის შემოქმედება წარადგინა. იმავე წელს ეს ახალი და ინოვაციური მიდგომა ფართომასშტაბიანი ინსტალაციების სერიის “პარამეტრები” შემთხვევაშიც იქნა გამოყენებული. ნამუშევრებმა, რომლებიც პერსონალურ გამოფენაზე „პენუმბრა: ტექსტურირებული ჩრდილი, შეფერილი სინათლე” ლონდონში Saatchi-ს გალერეაში იყო გამოფენილი საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. ამავე სტილის გასაგრძელებლად, 2019 წელს რაშიდმა ხელოვან მერი ბაუერმაისტერთან (Mary Bauermeister) და საუნდის ხელოვან საიმონ შტოკჰაუზენთან (Simon Stockhausen) ერთად სივრცეში „მე - კოლექციონერის ოთახი“ (ბერლინი) „პარამეტრების“ სერიის ნამუშევრები აჩვენა. 2020 წელს, გამომცემლობამ Rizzoli რაშიდ ალ ხალიფას ნამუშევრების ელეგანტურად ილუსტრირებული პუბლიკაცია “რაშიდ ალ ხალიფა, სრული წრე” დაბეჭდა. წიგნში ნაჩვენებია ხელოვანის ღრმა კავშირი სინათლესთან და მისი სამშობლოს პეიზაჟებთან. მას შემდეგ რაშიდმა მრავალ საერთაშორისო ხელოვნების ბაზრობაში, ორ პერსონალურ გამოფენაში („სპექტრი“ და „ნამგალა მთვარე“, ლიხტენშტაინის ეროვნული მუზეუმი, 2022), გამოფენაში „პირველი სხივი“ (ჰეიდარ ალიევის ცენტრი, ბაქო, აზერბაიჯანი) მიიღო მონაწილეობა.

რაშიდ ალ ხალიფას უახლესი შემოქმედება აგრძელებს ბაჰრეინის გეოგრაფიული და კულტურული მრავალფეროვნებისთვის დამახასიათებელი სინათლისა და ფერების დინამიკის კვლევას. მისი ამჟამინდელი ინტერესის სფეროს სწორედ ამ თვისებების ურთიერთქმედება და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში გამოხატული თამამი ინტერპრეტაციების გამოყენება წარმოადგენს, რის შედეგადაც ხელოვანი ბრწყინვალედ მართული სტრუქტურების, ზედმიწევნით დამუშავებული ფორმებისა და კომპლექსური დიზაინის შექმნით ახლო აღმოსავლეთის ტრადიციული დიზაინისა და არქიტექტურის მიმართ პატივისცემას გამოხატავს.

BIOGRAPHY

Born in 1952 in the Kingdom of Bahrain, Rashid Al Khalifa held his first solo exhibition at the Dilmun Hotel, Bahrain, in 1970 when he was just 18 years old and then moved to the UK in 1972 to study at the Hastings College of Arts and Technology in Sussex. After returning to Bahrain in 1978, inspired by Europe's greatest Impressionist masters, he began his own renditions of his country's landscapes, producing a series of atmospheric paintings of the desert, sea, and historical sites. These works were first presented at the Middle East Institute, Washington, D.C., USA, and at the Sheraton Hotel, Bahrain, in 1982. Rashid developed his painting by responding to certain movements and styles such as geometric abstraction, hard-edge painting and colour field work.

The artist's vital decision to merge elements of his figurative and landscape works in the late 1980s was an entirely conscious one. He was driven by a greater sense of individuality, which emulated the ambiance and aura of his own surroundings. His female figures became barely decipherable, as hints of fabric, suggestions of limbs and movement, and cascades of hair all dispersed into the melding colours of the land. Rashid's further transformation of his work in the early 1990s denotes his desire to contain and redirect his previously gestural and fleeting mark-making. Gradually becoming more controlled, his imagery began incorporating more decorative elements. This series of works were first presented in 1996 in solo exhibitions at the De Caliet Gallery in Milan, Italy, and the El Kato Kayyel Gallery, Milan, Italy, as well as at the Shuman Arts Organisation in Jordan in 1997. During this time, Rashid also experimented with a shapelier backdrop, forming a triangular prism with three canvases. And while he appreciated its three-dimensionality, which allowed the work to stand unsupported so viewers could look from all angles, he was unsatisfied with the result.

Further investigations and an unintentional discovery resulted in his characteristically 'convex canvas' which emerged towards the end of the 1990s. Beginning in 2000, this new canvas became the mainstay on which the artist merged all his imagery - landscape, figurative and abstract expressionism - into his own

colour field language. From 2006 onwards, along with his continued application of bright and vivid colour schemes, his practice adopted a conceptual framework. Organic shapes and unusual patterns swirled together, allowing for the emergence of animate and abstract imagery.

By 2009, his work underwent a definitive change, where the formerly bold lines and distinct forms of the late '90s became a synthesis of colour and gesture. Broad sweeps of colour met with blended paint and thick impasto which was then scratched and scraped to reveal the remnant hues and imagery beneath the surface. Employing the convex surface for over a decade, Rashid methodically and continually developed his style with a far more minimalistic approach. In 2010, an important solo exhibition at the Bahrain National Museum entitled 'Convex: A New Perspective', showcased a decade of his work, presenting his journey with this newfound form and its influential role on his style and practice. Along with his earlier painterly works, he introduced a new series of lacquer paint, fabric and glue complementing the curvature of the canvas. Rashid manipulated these materials to open up opportunities for light to fall differently on each surface, thereby emphasizing his multilayered relief technique. The scale of his canvas became grander and the imagery itself darker and more intense in nature, imparting far greater dramatic effects. In essence, this new perspective intimated changes in the physicality of Rashid's work and ran parallel to his personal growth. His ongoing experimentation signified his need and openness for innovation and renewal.

In this phase, Rashid began to consider and equate, to an even greater extent, the susceptibility, mechanics and geometric processes involved in certain aspects of the designs and architecture he visualized in Bahrain's ever-changing landscapes. He quickly began to incorporate these findings into his practice. The incandescent, smooth lacquer surfaces seen in much of his 2010-2011 work demonstrates his affinity for symmetry and balance in form and purpose. By late 2011, Rashid took this further by experimenting with chrome which allowed him to paint over, manipulate and warp reflections of his environment. This body of work was showcased in solo exhibitions the following year at the Bahrain Financial Harbour, Manama (2012), Beirut Art Fair, Lebanon (2012) and Abu Dhabi Art, UAE (2012).

In May 2015 the artist officially participated in the 56th Venice Biennale, in both the 'Nomi/Names' joint exhibition and a collateral event, 'The Eye of the Thunderstorm: Effervescent Practices from the Arab World', commissioned by the Contemporary Practices Journal. This was followed with his participation in an Arab delegation of artists to Brazil for the TRIO Biennial dedicated to three-dimensional art. Around this time Rashid's convex surfaces took on textured layers of aluminium, which he manipulated or excised to reveal layering underneath. In doing so, he abandoned the painterly style of previous years to allow for a pristine and symmetrical façade. These structural features, as well as his move towards minimalism, directed his new focus on elemental forms of design and their receptiveness to light and consequent shadows.

In 2018, the artist presented a solo show at Ayyam Gallery in Dubai, UAE, entitled 'Hybrids', which showcased this transition with a selection of works created between 2015-2017. In the same year, this fresh and innovative approach defined his 'Parametrics' series of large-scale installations that premiered, to international acclaim, in a major solo exhibition entitled 'Penumbra: Textured Shadow, Coloured Light' at the Saatchi Gallery in London. In continuation of this style, in 2019, Rashid exhibited alongside artist Mary Bauermeister and sound artist Simon Stockhausen at the me Collector's Room, Berlin presenting a selection of his parametrics. In 2020, Rizzoli publishing house, released an elegantly illustrated publication of Rashid Al Khalifa's work, entitled, 'Rashid Al Khalifa, Full Circle', showcasing the artists deep connection to the light and landscape of his homeland. Rashid has since participated in a number of international art fairs as well as two solo exhibitions ('Spectrum' and 'Cusp') at the Liechtenstein National Museum in 2022 as well as a recent solo exhibition 'First Light' at the Heydar Aliyev Center, Baku, Azerbaijan.

Rashid Al Khalifa's latest work continues to explore the myriad dynamics of light and colours that are characteristic to Bahrain's geographical and cultural diversity. His current interests lie in the interaction of these properties to further inform his bold interpretations of his cultural heritage. Through splendidly commanding structures, comprising meticulous forms and complex designs, Rashid's art practice stands as a contemporary tribute to traditional Middle Eastern design and architecture.

ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

პერსონალური გამოფენები

2023 პირველი სხივი, ჰეიდარ ალიევის ცენტრი, ბაქო, აზერბაიჯანი

2022 ნამგალა მთვარე, ლიხტენშტაინის ეროვნული მუზეუმი, ვადუცი, ლიხტენშტაინი

2022 სინათლისა და ჩრდილის შენება, როზენჰანგის მუზეუმი, ვილბურგი, გერმანია

2022 სინათლისა და ჩრდილის შენება, სასტუმრო “მონდის” გალერეა, ბერლინი, გერმანია

2022 სერია „სპექტრი“, ლიხტენშტაინის ეროვნული მუზეუმი, ვადუცი, ლიხტენშტაინი

2021 რაშიდ ალ ხალიფა, გალერეა Opera, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები

2021 მოზაიკა, მარიო მორონერის თანამედროვე ხელოვნება, ვენა, ავსტრია

2019 პარალელურად, გალერეა Bait Muzna, მუსკატი, ომანი

2018 პენუმბრა: ტექსტურირებული ჩრდილი, შეფერილი სინათლე, გალერეა Saatchi, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

2018 ჰიბრიდები, გალერეა Ayyam, ალსერკალის გამზირი, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები

2012 ანარეკლები, გალერეა Waterline, ბაჰრეინის ფინანსური ცენტრი, ბაჰრეინის სამეფო

2010 ამოზნექილი: ახალი პერსპექტივა, ბაჰრეინის ეროვნული მუზეუმი, ბაჰრეინის სამეფო

1997 ხელოვნების დეპარტამენტი, შუმანის ხელოვნების ორგანიზაცია, ამანი, იორდანია

1996 გალერეა De Caliet, მილანი, იტალია

1996 გალერეა El Kato Kayyel, მილანი, იტალია

1982 ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტი, ვაშინგტონი, აშშ

1982 სასტუმრო „შერატონი“, მანამა, ბაჰრეინის სამეფო

1970 სასტუმრო „დილმუნი“, მანამა, ბაჰრეინის სამეფო

ჯგუფური გამოფენები

2023 ინტიმური დისტანცია, მარიო მორონერის გალერეა, ზალცბურგი, ავსტრია

2023 თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის გეომეტრია და ხელოვნება, მისკის ხელოვნების ინსტიტუტი, ჯედა, საუდის არაბეთი

2022 სახიფათო სილამაზე, მარიო მორონერის გალერეა, ზალცბურგი, ავსტრია

2022 თანამშრომლობები / ოლივიე მარკი, გუარდინის ფონდი, ბერლინი, გერმანია

2019 განივი ტალღა, მე - კოლექციონერების ოთახი ბერლინში / ოლბრიხტის კოლექცია, ბერლინი, გერმანია

2017 თანასწორობა: სამეფო ხიდები, Ritz Carlton-ი, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საემიროები

2013 დიალოგი, გალერეა Waterline, ბაჰრეინის სამეფო

ხელოვნების ბაზრობები

2023 ბრიუსელის ხელოვნების ბაზრობა, მარიო მორონერის გალერეა, ბრიუსელი, ბელგია

2023 დიუსელდორფის ხელოვნების ბაზრობა, მარიო მორონერის გალერეა, დიუსელდორფი, გერმანია

2023 ჟენევის ხელოვნების ბაზრობა, მარიო მორონერის თანამედროვე ხელოვნება, ჟენევა, შვეიცარია

2022 ასპენის გადაკვეთა, გალერეა Gmurzynska, ასპენი, კოლორადო, აშშ

2022 ბრიუსელის ხელოვნების ბაზრობა, მარიო მორონერის გალერეა, ბრიუსელი, ბელგია

2022 დიუსელდორფის ხელოვნების ბაზრობა, მარიო მორონერის გალერეა, დიუსელდორფი, გერმანია

2021 SCOPE-ის თანამედროვე ხელოვნების გამოფენა, მაიამი, აშშ

2021 სტამბოლის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა, სტამბოლი, თურქეთი

2019 სტამბოლის თანამედროვე ხელოვნების ბაზრობა, სტამბოლი, თურქეთი

2014 WWALA, ლოს ანჯელესი, აშშ

2014 დუბაის ხელოვნების ბაზრობა, არაბთა გაერთიანებული საემიროები

2013 ციურიხის ხელოვნების ბაზრობა, შვეიცარია

2013 აბუ დაბის ხელოვნების ბაზრობა, არაბთა გაერთიანებული საემიროები

2013 დუბაის ხელოვნების ბაზრობა, არაბთა გაერთიანებული საემიროები

2012 აბუ დაბის ხელოვნების ბაზრობა, არაბთა გაერთიანებული საემიროები

2012 ბეირუთის ხელოვნების ბაზრობა, ლიბანი

ბიენალეები

2019 მოსკოვის ბიენალე, ახალი ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი, რუსეთი

2017 ხიდები, გრენადის პავილიონი, ვენეციის 57-ე ბიენალე, ვენეცია, იტალია

2017 უადგილო, ხმელთაშუაზღვისპირეთის 3-ე ბიენალე, სახნინის ველი, ისრაელი

2015 არაბეთის დელეგაცია, TRIO-ს ბიენალე, რიო დე ჟანეირო, ბრაზილია

2015 Nomi/სახელები - ოფიციალური გამოფენა, ვენეციის 56-ე ბიენალე, ვენეცია, იტალია

2015 ჭექა-ქუხილის თვალი: არაბული სამყაროს მგზნებარე პრაქტიკა, ოფიციალური პარალელური ღონისძიება, ვენეციის 56-ე ბიენალე, ვენეცია, იტალია

ბაჰრეინის ხელოვნების საზოგადოება

2016 15/15, შეიხ ებრაჰიმ ბინ მოჰამედ ალ ხალიფას სახელობის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის ცენტრი, ელ-მუჰარაქი, ბაჰრეინის სამეფო

2016 ხედები, სასტუმრო Ritz Carlton, ბაჰრეინის სამეფო

2014 ბაჰრეინი, აზილას ხელოვნებისა და კულტურის ფორუმი, მაროკო

2013 ბაჰრეინის თანამედროვე ხელოვნება, რუსეთის აკადემია, მოსკოვი, რუსეთი

2007 ბაჰრეინის თანამედროვე ხელოვნება, UNESCO, პარიზი, საფრანგეთი

2005 თანამედროვე ხელოვნების გამოფენა, ქირურგთა სამეფო კოლეჯი, დუბლინი, ირლანდია

2004 32-ე ხელოვნების ყოველწლიური გამოფენა, ბაჰრეინის ეროვნული მუზეუმი, ბაჰრეინის სამეფო

2002 ბაჰრეინის კულტურის კვირეული, ამანი, იორდანია

2002 ბაჰრეინის კულტურის კვირეული, პეკინი, ჩინეთი

1999 ტაიპეის ხელოვნების გამოფენა, ტაიპეი, ტაივანი

1999 შარჟას ბიენალე, შარჟა, არაბთა გაერთიანებული საემიროები

1999 დილმუნის გამოფენა, პარიზი, საფრანგეთი

1998 ბაჰრეინის ხელოვნების საზოგადოების გამოფენა, გალერეა Alexander, ლადუ, საფრანგეთი

1997 სინგაპურის ხელოვნების გამოფენა, სინგაპური

1997 ამერიკის ხელოვნების გამოფენა, მაიამი, აშშ

1996 ევროპის ხელოვნების ფესტივალი, ჟენევა, შვეიცარია

1996 ბაჰრეინის ხელოვნების საზოგადოების გამოფენა, კანი, საფრანგეთი

1996 ევროპის ხელოვნების ფესტივალი, ჟენევა, შვეიცარია

1996 ბაჰრეინელი ხელოვანების გამოფენა, რომი, იტალია

1996 შარჟას ბიენალე, არაბთა გაერთიანებული საემიროები

1995 სასტუმრო Du Rond, ჟენევა, შვეიცარია

1995 მსოფლიო სავაჭრო ცენტრი, ლოზანა, შვეიცარია

1989 ბაჰრეინის ხელოვნების საზოგადოების გამოფენა, კაირო, ეგვიპტე

1988 აზიელი მხატვრების ფესტივალი, მალაიზია

1988 ახალი ხელოვნების ცენტრი, ბაღდადი, ერაყი

1986 სპარსეთის ყურის არაბული ქვეყნების თანამშრომლობის საბჭოს პირველი გამოფენა, ტოკიო, იაპონია

1985 ქაიროს ბიენალე, ეგვიპტე

1985 ალიას ცენტრი, ამანი, იორდანია

1984 ბაჰრეინელი ხელოვანების გამოფენა, Leighton House, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი

1984 ფრანგი ხელოვანების გამოფენა, Grand Palais, პარიზი, საფრანგეთი

CURRICULUM VITAE

SOLO EXHIBITIONS

2023 First Light, Heydar Aliyev Center, Baku, Azerbaijan

2022 Cusp, Liechtenstein National Museum, Vaduz, Liechtenstein

2022 Construction of Light & Shadow, Rosenhang Museum, Weilburg, Germany

2022 Construction of Light & Shadow, Galerie Hotel Mond, Berlin, Germany

2022 Spectrum, Liechtenstein National Museum, Vaduz, Liechtenstein

2021 Rashid Al Khalifa, Opera Gallery, Dubai, UAE

2021 Tesselate, Mario Mauroner Contemporary Art, Vienna, Austria

2019 In Parallel, Bait Muzna Gallery, Muscat, Oman

2018 Penumbra: Textured Shadow, Coloured Light, Saatchi Gallery, London, UK

2018 Hybrids, Ayyam Gallery, Alserkal Avenue, Dubai, UAE

2012 Reflections, The Waterline Gallery, Bahrain Financial Harbour, Kingdom of Bahrain

2010 Convex: A New Perspective, Bahrain National Museum, Kingdom of Bahrain

1997 Art Department, Shuman Arts Organization, Amman, Jordan

1996 De Caliet Gallery, Milan, Italy

1996 El Kato Kayyel Gallery, Milan, Italy

1982 Middle East Institute, Washington, D.C., USA

1982 Sheraton Hotel, Manama, Kingdom of Bahrain

1970 Dilmun Hotel, Manama, Kingdom of Bahrain

GROUP EXHIBITIONS

2023 An Intimate Distance, Mario Mauroner Gallery, Salzburg, Austria

2023 Geometry and Art in the Modern Middle East, Misk Art Institute, Jeddah, Saudi Arabia

2022 Dangerous Beauty, Mario Mauroner Gallery, Salzburg, Austria

2022 Collaborations / Oliver Mark, Guardini Stiftung, Berlin, Germany

2019 Transverse Wave, me Collectors Room Berlin / Olbricht Collection, Berlin, Germany

2017 Convergence: Royal Bridges, Ritz Carlton, Dubai, UAE

2013 In Dialogue, The Waterline Gallery, Kingdom of Bahrain

ART FAIRS

2023 Art Brussels, Mario Mauroner Gallery, Brussels, Belgium

2023 Art Dusseldorf, Mario Mauroner Gallery, Dusseldorf, Germany

2023 Art Genève, Mario Mauroner Contemporary Art, Geneva, Switzerland

2022 Intersect Aspen, Galerie Gmurzynska, Aspen, Colorado, USA

2022 Art Brussels, Mario Mauroner Gallery, Brussels, Belgium

2022 Art Dusseldorf, Mario Mauroner Gallery, Dusseldorf, Germany

2021 SCOPE International Contemporary Art Show, Miami Beach, Miami, USA

2021 Contemporary Istanbul, Istanbul, Türkiye

2019 Contemporary Istanbul, Istanbul, Türkiye

2014 WWALA, Los Angeles, USA

2014 Art Dubai, UAE

2013 Zurich Art Fair, Switzerland

2013 Abu Dhabi Art, UAE

2013 Art Dubai, UAE

2012 Abu Dhabi Art, UAE

2012 Beirut Art Fair, Lebanon

BIENNIALS

2019 Moscow Biennale, New Tretyakov Gallery, Moscow, Russia

2017 Bridges, Grenada Pavilion, 57th Venice Biennale, Italy

2017 Out of Place, 3rd Mediterranean Biennale, Sakhnin Valley, Israel

2015 Arab Delegation, TRIO Biennial, Rio de Janeiro, Brazil

2015 Nomi/Names Official Exhibition, 56th Venice Biennale, Italy

2015 The Eye of the Thunderstorm: Effervescent Practices from the Arab World, Official Collateral Event, 56th Venice Biennale, Italy

BAHRAIN ARTS SOCIETY PARTICIPATION

2016 15/15, Shaikh Ebrahim bin Mohammed Al Khalifa Center for Culture and Heritage, Muharraq, Kingdom of Bahrain

2016 Views, Ritz Carlton, Kingdom of Bahrain

2014 Bahrain, Asilah Arts & Culture Forum, Morocco

2013 Bahrain Contemporary Art, Russian Academy, Moscow, Russia

2007 Bahrain Contemporary Art, UNESCO, Paris, France

2005 Modern Art Exhibition, Royal Ireland College of Surgeons, Dublin, Ireland

2004 32nd Annual Art Exhibition, Bahrain National Museum, Kingdom of Bahrain

2002 Bahrain Culture Week, Amman, Jordan

2002 Bahrain Culture Week, Peking, China

1999 Taipei Art Exhibition, Taipei, Taiwan

1999 Sharjah Biennial, Sharjah, UAE

1999 Dilmun Exhibition, Paris, France

1998 Bahrain Arts Society Exhibition, Gallery Alexander, Ladoux, France

1997 Art Expo Singapore, Singapore

1997 Art America Exhibition, Miami, USA

1996 Europe Art Festival, Geneva, Switzerland

1996 Bahrain Arts Society Exhibition, Cannes, France

1996 Europe Art Festival, Geneva, Switzerland

1996 Bahrain Artists Exhibition, Rome, Italy

1996 Sharjah Biennial, UAE

1995 Hotel Du Rond, Geneva, Switzerland

1995 World Trade Center, Lausanne, Switzerland

1989 Bahrain Arts Society Exhibition, Cairo, Egypt

1988 Festival of Asian Artists, Malaysia

1988 New Art Center, Baghdad, Iraq

1986 First GCC Art Exhibition, Tokyo, Japan

1985 Cairo Biennial, Egypt

1985 Alia Center, Amman, Jordan

1984 Bahraini Artists, Leighton House, London, England

1984 Salon des Artistes Français, Grand Palais, Paris, France

მადლობა

მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ გამოფენის კატალოგის შექმნაში დამეხმარა. მადლობა ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის, MoMA თბილისის გუნდსა და ქალბატონ თათა ქსოვრელს მათი დახმარებისა და მზაობისთვის, მხარი დაეჭირათ გამოფენისთვის; ჩემს გუნდს რაშიდ ალ ხალიფას ხელოვნების ფონდში და ქალბატონ იასმინ შარაბის პროექტის განხილვისა და მისი ორგანიზებისთვის; ყველა ფოტოგრაფს, რომელიც მასში მონაწილეობდა და ჩემი ნამუშევრების საუკეთესოდ წარდგენა უზრუნველყო; დიზაინერებს Two Desk Studio-დან მათი კარგად გააზრებული და ელეგანტური დიზაინისთვის.

რაშიდ ალ ხალიფა

ACKNOWLEDGEMENTS

I would like to thank all who have assisted with the production of this exhibition catalogue. Thank you to the team of the Zurab Tsereteli Museum of Modern Art, MoMa Tbilisi, including Ms Tata Ksovreli, for their help and willingness to support this exhibition. To my team at the RAK Art Foundation, including Ms Yasmin Sharabi for her consideration and organization. To all of the photographers involved in who ensured that my work is presented in the best possible light and to the designers, Two Desk Studio, for their thoughtful and elegant design.

Rashid Al Khalifa

MOMATBILISI

مؤسسة راشد بن خليفة للفنون

RAK ART FOUNDATION